როგორ ვასწავლოთ ბავშვის უფლებები

ბავშვის შრომა

მოამზადა ნინო გვარამაძემ

წინამდებარე რესურსი ეხება ბავშვის შრომას.

ბავშვს უფლება აქვს, დაცული იყოს ისეთი სამუშაოს შესრულებისაგან, რომელიც შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს მისი ჯანმრთელობისათვის, ხელს უშლიდეს ბავშვს განათლების მიღებაში, საერთოდ, განვითარებაში. სახელმწიფო ვალდებულია განსაზღვროს სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი და შრომით პირობებთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები. ამ საკითხს ეხება ბავშვის უფლებების კონვენციის 32-ე მუხლი.

მუხლი 32

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას, დაცული იყოს ეკონომიკური ექსპლუატაციისა და ნებისმიერი ისეთი სამუშაოს შესრულებისაგან, რომელიც შეიძლება ემუქრებოდეს მის ჯანმრთელობას და ხელს უშლიდეს განათლების მიღებაში ან ზიანს აყენებდეს მის ჯანმრთელობას, ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, მორალურ და სოციალურ განვითარებას.

2. მონაწილე სახელმწიფოები ღებულობენ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სოციალურ ზომებს, ატარებენ ღონისძიებებს განათლების სფეროში, რათა განხორციელდეს წინამდებარე მუხლი. ამ მიზნით, ხელმძღვანელობენ რა სხვა საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისი დებულებებით, მონაწილე სახელმწიფოები, კერძოდ:

ა) ადგენენ სამუშაოზე მიღების მინიმალურ ასაკს ან მინიმალურ ასაკებს;

ბ) განსაზღვრავენ სამუშაო დღის ხანგრძლივობასა და შრომის პირობებთან დაკავშირებულ აუცილებელ მოთხოვნებს;

გ) ითვალისწინებენ სასჯელის შესაბამის სახეობებს ან სხვა სანქციებს წინამდებარე მუხლის ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად.

მოსწავლეებთან ამ საკითხის განხილვა მნიშვნელოვანია, ვინაიდან მოსწავლეები ხშირად ცდილობენ (განსაკუთრებით უფროს კლასებში) ან იძულებულნი არიან დაიწყონ მუშაობა. მათ უნდა იცოდნენ საკუთარი უფლებები და შეზღუდვების მიზეზები.

მოსწავლეებმა უნდა შეძლონ:

- ახსნან, რას ნიშნავს „ბავშვთა შრომა“ და როდის ხდება იგი პრობლემური.
- განმარტონ, რას ამბობს ბავშვის უფლებათა კონვენციის 32-ე მუხლი.
- განასხვავონ უსაფრთხო და სახიფათო სამუშაო.
- შეაფასონ, რატომ არის სწავლის უფლება უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე მძიმე შრომა.

აქტივობა N1

გონებრივი იერიში

მასწავლებელი სვამს კითხვას: *„რას ნიშნავს სიტყვა შრომა?“* და წერს ასოციაციებს დაფაზე.

მასწავლებელი სთხოვს დააჯგუფონ უსაფრთხო და საფრთხის შემცველი შრომის სახეები. შეუძლიათ უკვე დასახელებულს ახალიც დაამატონ.

აქტივობა N2

მასწავლებელი განმარტავს კონვენციის 32-ე მუხლს მარტივი ენით.

აქტივობა N3

როლური თამაში (10 წთ.)

ჯგუფები იღებენ როლებს:

- „ბავშვები“
- „დამსაქმებლები“
- „სახელმწიფო“

სცენარში დამსაქმებლების ჯგუფს მასწავლებელმა უნდა შესთავაზოს ვაკანსიის რამდენიმე ვარიანტი. მათგან უმეტესობაში უნდა იყოს მიუღებელი პირობები. ბავშვების ჯგუფს უნდა უნდოდეს მუშაობის დაწყება და მზად იყოს პატარა დარღვევებისთვის. ამ ჯგუფში როლის მიხედვით უნდა იყვნენ სხვადასხვა ასაკის ბავშვები. სახელმწიფო უნდა იცავდეს კანონს. მოსწავლეთა ჯგუფებს, აგრეთვე უნდა დაურიგდეთ ამონარიდი საქართველოს შრომის კოდექსიდან.

მუხლი 10. შრომითი ქმედუნარიანობის წარმოშობა და სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი

1. ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლიდან.

2. 16 წლამდე არასრულწლოვანის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შესაბამისი შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვანის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მის სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას. არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობა ძალაში რჩება მსგავსი ხასიათის შემდგომი შრომითი ურთიერთობის მიმართაც.

3. 14 წლამდე არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ სპორტის, ხელოვნების ან კულტურის სფეროში საქმიანობის განსახორციელებლად ანდა სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად.

4. აკრძალულია არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება სათამაშო ბიზნესთან, ღამის გასართობ დაწესებულებასთან, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადებასთან, გადაზიდვასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად.

5. აკრძალულია არასრულწლოვანთან ანდა ორსულ, ახალნამშობიარებ ან მეძუძურ ქალთან შრომითი ხელშეკრულების დადება მძიმე, მავნე ან საშიშპირობებიანი სამუშაოს შესასრულებლად.

6. აკრძალულია „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით ან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ დაწესებულებაში, არასრულწლოვანთათვის ნებისმიერი სახის საგანმანათლებლო/სასწავლო/სააღმზრდელო მომსახურების გამწევ დაწესებულებაში (მათ შორის, სკოლისგარეშე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებაში), ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარში), „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ თავშესაფარში/კრიზისულ ცენტრში, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სპეციალიზებულ დაწესებულებად/სპეციალიზებულ დაწესებულებაში იმ პირის დასაქმება, რომელიც ნასამართლევია „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის

წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნის ან გაქარწყლებისა.

ჯგუფებში როლების გაცნობისა და სტრატეგიის მოფიქრების შემდეგ დაიწყება ინსცენირება, რომლისთვისაც 15 წუთი იქნება საკმარისი. შემდგომ ჩატარდება საერთო განხილვა. რეფლექსია აუცილებელია, რათა ბავშვების მიერ მოხდეს კონვენციის კანონის მუხლების გააზრება.

მნიშვნელოვანია, რომ ბავშვები მიხვდნენ, რომ შრომის დროს არ უნდა დაზიანდეს მათი ჯანმრთელობა და ხელი არ უნდა შეეშალოს მათ განათლების მიღებაში.

ეს არის კიდევ ერთი შემთხვევა, როცა მასწავლებელს შეუძლია გაუსვას ხაზი ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისობას საერთაშორისო კონვენციასთან.

აქტივობა N4

დავალებად მოსწავლეებს შეიძლება მიეცეთ პოსტერის შექმნა - „ბავშვებს სჭირდებათ სწავლა და არა მძიმე შრომა“.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბავშვის უფლებათა კონვენცია
2. საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს შრომის კოდექსი, 4113-რს, 17.12.2010 https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=28